PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯი "სპექტრი"

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ვალერი ჯაჯანიძე
ჯიმშერ მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „სპექტრი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 თებერვლის MES 9 20 00249977 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 5-6 მარტს სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება და სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;
- დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის შემოწმება;
- ვებ გვერდის შემოწმება;
- პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება;
- პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსების შემოწმება;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

ვიზიტის პერიოდში გადანაცვლდა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობები, ვინაიდან კოლეჯში კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით ვიზიტის პირველ დღეს ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები:

- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება ;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია :

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

	ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	□	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო		**მუხლი 7**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

დაწესებულების მატერიალური რესურსი				
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და	**მუხლი 7 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

	ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი დ)

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურები; სსიპ კოლეჯი სპექტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით დარეგულირებულია საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრა(იხ.დანართი 4).

ექსპერტების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ქეისში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები.

არასრულწლოვნის შემთხვევაში (იხ. დანართი 3) განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე (დანართი 2), რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია, რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი.;

დაწესებულების მიერ დარღვეულია მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით:

- არასრულწლოვან სტუდენტს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლება არ აქვს, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა.
- სტუდენტის პირად საქმეში უნდა იდოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის პირადობა და სტუდენტის დაბადების მოწმობა;
- კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

განხილული ორი ქეისიდან ორივე არასრულყოფილია, პირად საქმეში არ დევს არც კანონიერი წარმომადგენლის მინდობილობა და არც პირადობის მოწმობის ასლი, ასევე არც ხელმომწერი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, შესაბამისად ხელმომწერ პირთა კანონიერი წარმომადგენლობა არ დასტურდება;

აუცილებელია დაწესებულებამ სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესში დაარეგულიროს და დაიცვას აღნიშნული საკითხები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

VI. რეკომენდაციების შეჯამება

PDF Eraser Free

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი ა))

- წარმოდგენილი მემორანდუმების უმეტესი ნაწილი გაფორმებულია საგნობრივი პროგრამების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გასავლელად და არ ითვალისწინებს მოდულური პროგრამების მოდულებს, კერძოდ არაა მითითებული თუ კონკრეტულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე და რომელი მოდულის ან სწავლის შედეგის გასავლელად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო მემორანდუმების/დანართების განახლება. რეკომენდებულია დაწესებულებამ ბაზებთან დადოს განახლებული ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახლწოდებებთან;
- რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები;

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი დ))

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან;

ქვესტანდარტი 2.8. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი თ))

- დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე;

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი ი))

- რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა(ექვსწლიანი) მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

ქვესტანდარტი 3.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/პუნქტი გ))

- რეკომენდებულია დაწესებულებას გააჩნდეს პესონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

VII. დაწესებულების მისია

PDF Eraser Free

კოლეჯის მისიაა სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის ხედვაა 2029 წლისათვის გახდეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი/მოტივირებული მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული კურსამთავრებულებით, მოქნილი ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით.

კოლეჯის ღირებულებებია:

- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწარაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალეობა;
- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1.დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში პროგრამები) განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევის ანალიზს. **წარმოგიდგენთ თითოეულ მათგანს:**

მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

სატრანსპორტო პროცესების მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საავტომობილო ტრანსპორტს,ისეთი რთული გეოგრაფიული რელიეფის მქონე ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, წამყვანი ადგილი უკავია როგორც სამგზავრო გადამყვანების,ასევე სატვირთო გადაზიდვების შესასრულებლად. ქვეყნისათვის, რომელსაც სამამულო ავტომშენებლობა არ გააჩნია საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება და ეფექტურობის ამარლება შეიზღება მიღქეულ იქნებს პარკის დახვეწილი სტრუქტურითა და ორგანიზაციით.ახალი ტიპის თანამედროვე ავტომობილების შემოყვანით, როგორც ეს დღეს ხდება ჰოლანდიიდან,უკრაინიდან,ენგრეთიდან, იაპონიიდან და სხვა,მაგრამ ყველაზე ეფექტური რეზერვი ქვეყნის საავტომობილო პარკის გაზრდისათვის არის ავტომობილების რემონტი. ავტომობილის რთულ საგზაო პირობებში მუშაობისას უარესდება მისი საექსპლუატაციო და ტექნიკური თვისებები რაც გამოწვეულია ავტომობილების დატალების ცვეთით,მატი კოროზიით და ლითონის ,,დაღლილობით“.ავტომობილებში წარმოიქმნება სხვადასხვა უწესრიგობები,რომელთა აღმოფხვრა და გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური მომსახურების და რემონტის გზით. ავტომობილის წარმოების ზრდა იქწევს სარემონტო ტექნოლოგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განვითარებას,რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ავტომობილის დამზადების ტექნოლოგიებთან,ავტომობილების განვითარებასთან ერთად ვითრდება ავტომობილის რემონტის ტექნოლოგიაც.ავტომობილის ტემონტის ტექნოლოგია არის მეცნიერება,რომელიც შეისწავლის დეტალების ნარჩენი რესურსების რეალიზების მეტოდებს,მისი მიზანია გარემონტებული ავტომობილი გახადოს მუშაობისუნარიანი და ახალი ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობას მიუახლოვოს.ამ სპეციფიკით განსხვავდება რემონტის ტექნოლოგია წარმოების ტექნოლოგგისაგან.ავტოსარემონტო საწარმოს ამოცანაა ავტომობილების მოდერნიზაცია ანუ კონსტრუქციულად გაუმჯობესებული დეტალებითა და კვანძებით ძველი ავტომობილების სრულყოფა,ტექნიკური დონის ამაღლება და ექსპლუატაციის დროის გახანგრძლივება. საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა და ენიჭება იმ საინჟინრო კადრებს,რომლებიც დასაქმებული არიან ავტოსარემონტო საწარმოებში, ეს კადრები ვალდებულნი არიან ფლობდნენ ამ საწარმოების ტექნოლოგიური დაპროექტების პრინციპებს და ითვალისწინებდნენ ქარხანა-მწარმოებლების მითითებებს და რეკომენდაციებს.

მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

სატრანსპორტო პროცესების მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საავტომობილო ტრანსპორტს,ისეთი რთული გეოგრაფიული რელიეფის მქონე ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, წამყვანი ადგილი უკავია როგორც სამგზავრო გადამყვანების,ასევე სატვირთო გადაზიდვების შესასრულებლად. ქვეყნისათვის, რომელსაც სამამულო ავტომშენებლობა არ გააჩნია საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება და ეფექტურობის ამარლება შეიზლება მიღქეულ იქნებს პარკის დახვეწილი სტრუქტურითა და ორგანიზაციით.ახალი ტიპის თანამედროვე ავტომობილების შემოყვანით, როგორც ეს დღეს ხდება ჰოლანდიიდან,უკრაინიდან,ენგრეთიდან, იაპონიიდან და სხვა,მაგრამ ყველაზე ეფექტური რეზერვი ქვეყნის საავტომობილო პარკის გაზრდისათვის არის ავტომობილების რემონტი.

ავტომობილის რთულ საგზაო პირობებში მუშაობისას უარესდება მისი საექსპლუატაციო და ტექნიკური თვისებები რაც გამოწვეულია ავტომობილების დატალების ცვეთით,მატი კოროზიით და ლითონის „დაღლილობით“.ავტომობილებში წარმოიქმნება სხვადასხვა უწესრიგობები,რომელთა აღმოფხვრა და გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური მომსახურების და რემონტის გზით.

ავტომობილის წარმოების ზრდა იქწევს სარემონტო ტექნოლოგიის განვითარებას,რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ავტომობილის დამზადების ტექნოლოგიებთან,ავტომობილების განვითარებასთან ერთად ვითრდება ავტომობილის რემონტის ტექნოლოგიაც.ავტომობილის ტემონტის ტექნოლოგია არის მეცნიერება,რომელიც შეისწავლის დეტალების ნარჩენი რესურსების რეალიზების მეტოდებს,მისი მიზანია გარემონტებული ავტომობილი გახადოს მუშაობისუნარიანი და ახალი ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობას მიუახლოვოს.ამ სპეციფიკით განსხვავდება რემონტის ტექნოლოგია წარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ტექნოლოგიისაგან.ავტოსარემონტო საწარმოს ამოცანაა ავტომობილების მოდერნიზაცია ანუ კონსტრუქციულად გაუმჯობესებული დეტალებითა და კვანძებით ძველი ავტომობილების სრულყოფა,ტექნიკური დონის ამაღლება და ექსპლუატაციის დროის გახანგრძლივება. საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა და ენიჭება იმ საინჟინრო კადრებს,რომლებიც დასაქმებული არიან ავტოსარემონტო საწარმოებში, ეს კადრები ვალდებულნი არიან ფლობდნენ ამ საწარმოების ტექნოლოგიური დაპროექტების პრინციპებს და ითვალისწინებდნენ ქარხანა-მწარმოებლების მითითებებს და რეკომენდაციებს.

სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით კოლეჯი მზადაა მოამზადოს მაღალი რანგის პროფესიონალები და შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ძირითადი მიზანია, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით, შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები. მოამზადოს სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრები. პროგრამა სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის საჭიროებაზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სახელმწიფომ ქვეყნის პრიორიტეტულ დარგებს შორის დაასახელა საინჟინრო-ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო მიმართულებები. ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციას პროფესიას კაცობრიობის განვითარებისათვის და რაოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული იგი ადამიანის არსებობასთან. არ არსებობს შენობა-ნაგებობა რომელსაც არ ესაჭიროებოდეს სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროფესია. ეს არის პროფესია, რომელიც თვითრეალიზებისა და დასაქმების საშუალებას აძლევს ადამიანს. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია სასწავლო ლაბორატორიები. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა-განახლება. ამავდროულად გამოვიყენებთ კოლეჯის ბაზაზე არსებულ სახელოსნოებს, რათა სტუდენტებმა სასწავლო პრაქტიკულ მეცადინეობებზე მოახდინონ სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცის შესწავლა, რათა დააკმაყოფილოს მზარდი მშენებლობის მოთხოვნები. მოახდინონ საინჟინრო ტექნიკური ღონისძიებებით სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში უსაფრთხოების პრევენცია და რისკების შემცირება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ, დირექტორის მიერ 2020 წლის 10 თებერვლის N 51 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების დასახელებას, პროგრამის დასახელებას, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

პროგრამაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, და დანართები - სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, მატერიალური რესურსი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **,, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ და ,, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“,** დამუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service“ საფუძველზე. პროგრამა **,, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“** მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით და **ძრავის შეკეთება** - კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 14 კრედიტის ოდენობით. პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 36 კვირა; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 46 კვირა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **,, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“** მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით, სავალი ნაწილის შეკეთება - კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 15 კრედიტის ოდენობით. პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 37 კვირა; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 47 კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია,** მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Plumbing; საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას აქვს ზოგადი 6 მოდული ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და საერთო პროფესიული 2 მოდული ჯამური 6 კრედიტის ოდენობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში მოიცავს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 57 კრედიტის რაოდენობით.

პროგრამის ხანგრძლივობა: პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ: ქართულენოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისათვის 12 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე.

<u>ექსპერტების მხრიდან პროგრამების შინაარსობრივად შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი</u>:

<u>პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ და „ მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“</u> :

პროგრამის მიზანი იყო ბუნდოვანი და აბსტრაქტული, კერძოდ ჩანაწერი ,,პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს პროფესიულ განათლებაში პროფესიული პროგრამების დანერგვა“ გაურკვეველია, ასევე საკმაოდ გაურკვეველი ჩანაწერია ,,სატრანსპორტო სფეროში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მოდერნიზება და შეკეთება“.

აღნიშნული პროგრამების სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ მოდულებს, კერძოდ აღნიშნული მოდულები ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე: ,,შეარჩიოს სათადარიგო დეტალები“ და ,,დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“ გასვლას, ვინაიდან ღნიშნული სწავლის შედეგები მიიღწეოდა იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი არჩევით მოდულებს დაიმატებდა, თუმცა კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავდა არჩევით მოდულებს;

დამტკიცებულ პროგრამებში კვალიფიკაციის მინიჭების პირობას წარმოადგენდა, მხოლოდ ზოგადი სავალდებულო მოდულების და საერთო დარგობრივი მოდულების გავლა რაც ეწინაარმდეგებოდა პროგრამების მოცულობას და ასევე ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ჩანაწერს;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დასახელებები „ძრავის შეკეთება“ და „სავალი ნაწილის შეკეთება“ იყო ზოგადი ხასიათის და შეიძლებოდა შეცდომაში შეეყვანა დაინტერესებული პირები, აღნიშნულ საკითხზე ექსპერტების მხრიდან განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების პერსონალთან და პროგრამების სახელწოდებები დაკორექტირდა შემდეგნაირად: მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება და მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება.

ასევე ზემოთ აღნიშნული ხარვეზები დაწესებულების მხრიდან გასწორდა სრულიად ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში და პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დაცვით განხორციელდა შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N110 ბრძანებით;

რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლოპროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები;

პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის სრულყოფილად გავლის მიზნით, დაწესებულებას შემდეგ ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, კერძოდ:

<u>1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u> „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს. ”ყუმური” (გაფორმების თარიღი: 13.01.2014წ N 67)
- შპს. "პროფესიონალი" (გაფორმების თარიღი: 19.03.2015 N 113)
- შპს. 'რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი" (გაფორმების თარიღი: 07.04.2016 N 145)
- შპს. 'ავტო აგრეგატი" (გაფორმების თარიღი: 06.10.2016 N 156)
- შპს. 'ჯ. თ. მოტორსი" (გაფორმების თარიღი: 23.12.2017 N 190)
- შპს. „ავტო პროფ“ (გაფორმებული 10.07.2019)
- შპს „ პრემიერ მოტორსი“ (08. 04. 2019)
- შპს. თეგეტა აკადემია“ (06.09.2018)

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება

- შპს. ”ყუმური” (გაფორმების თარიღი: 13.01.2014წ N 67)
- შპს. "პროფესიონალი" (გაფორმების თარიღი: 19.03.2015 N 113)
- შპს. 'რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი" (გაფორმების თარიღი: 07.04.2016 N 145)
- შპს. 'ავტო აგრეგატი" (გაფორმების თარიღი: 06.10.2016 N 156)
- შპს. 'ჯ. თ. მოტორსი" (გაფორმების თარიღი: 23.12.2017 N 190)
- შპს. „ავტო პროფ“ (გაფორმებული 10.07.2019)
- შპს. თეგეტა აკადემია“ (06.09.2018)
- შპს „ პრემიერ მოტორსი“ (08. 04. 2019)

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია

- შპს . „საგა იმპექსი“ (გაფორმების თარიღი 05.04. 2019)
- შპს. "ჯეოტურანი" (31.07.2017 N 186)
- შპს. "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201)
- შპს. ”ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” (12.01.2016 N 137)
- შპს. „ენსისი“ (05.02. 2018 N 193)
- შპს. ”ჯეოტურანი” (გაფორმების თარიღი: 19.12.2013წ N 66)
- შპს. ’აზია ენერჯი” (გაფორმების თარიღი: 09.07.2014 N 100)
- შპს. ‘Romms” (29.01.2016 N 139)
- შპს. „ თერმოინდუსტრია“ (14.03.2018 N 195)
- შპს. ”ჯეოტურანი” (გაფორმების თარიღი: 31.08.2017წ N 184)
- შპს იმპულსი (გაფორმების თარიღი 05.03.2020 წ)

აღნიშნული მემორანდუმების უმეტესი ნაწილი გაფორმებულია საგნობრივი პროგრამების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გასავლელად და არ ითვალისწინებს მოდულური პროგრამების მოდულებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

კერძოდ არაა მითითებული თუ კონკრეტულად რამდენი სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე და რომელი მოდულის ან სწავლის შედეგის გასავლელად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო მემორანდუმების და დანართების განახლება.

კოლეჯს აქვს შემუშავებული "საწარმოო პრაქტიკის გავლის წესი"(დირექტორის ბრძანება N 60 30 მარტი, 2015 წელი), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრაქტიკის საერთო მონიტორინგის, პრაქტიკის ადგილზე პროფესიული სტუდენტების დროულად გამოცხადების და განსაზღვრული ვადების დაცვის, სასწავლო ჟურნალში სტუდენტის მოსწარების აღრიცხვის და სტუდენტთა ყოველდღიური მუშაობის კონტროლის შესახებ; დაწესებულებას შემუშავებული აქვს საწარმოო პრაქტიკის დღიური, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პრაქტიკანტის სახელი და გვარი;
- პრაქტიკის გავლის საწარმო/დაწესებულება;
- პრაქტიკის გავლია ადგილი(მისამართი);
- პრაქტიკის ხელმძღვანელი;
- პრაქტიკის დასაწყისი, პრაქტიკის დასასრული,პროგრამის დასახელება,საათების რაოდენობა, საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულების ნომერი;
- საწარმოს/ დაწესებულების ხელმძღვანელისა და კოლეჯის დირექტორის ხელმოწერა;
- შეფასება-დახასიათება (თარიღი, სტუდენტის მიერ შესრულელებული სამუშაოს აღწერილობა და პრაქტიკის ხელმძღვანელი ხელმოწერა).

ექსპერტების მხრიდან ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის ობიექტებზე: შპს პროფესიონალი და შპს ჯეოტურანი, საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიურებით დგინდება, რომ მზად არიან პროგრამის დამატების შემთხვევაში კოლეჯთან თანამშრომლობისათვის. საწარმოში არის პირობები პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებისათვის.

კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმით დამატების შემთხვევაში იგეგმება საწარმოში პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის პროგრამების შინაარსის გაცნობა და მათთვის ტრენინგების ჩატარება მოდულებში მითითებული შედეგების მიღწევისათვის.

დირექტორის ბრძანება N 83-ა (21 აგვისტო 2015 წელი) დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „სპექტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისას და განკარგვის წესი, რომლის მიხედვითაც:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი;
- პროფეიული სტუდენტის მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მემორანდუმების ფარგლებში საწარმოებთან ურთიერთობის პრაქტიკა, ინფორმაციის მიწოდების გზები, რაც წარმოდგენილ იქნა დეტალურად დაწესებულების მხრიდან (გასული კორესპონდენცია, გაგზავნილი პროფესიულ სტუდენტთა სია, შევსებული პრაქტიკის დღიურები და სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორის 10.02.2020 წ N 51 ა ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორის 05.03.2020 წ N110 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული ძრავის შეკეთების და სავალი ნაწილის შემკეთებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ ,,სპექტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი;
- დირექტორის ბრძანებით პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით;
- სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისას და განკარგვის წესით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ საწარმოო პრაქტიკის გავლის წესით;
- სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესით;
- პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებებით;
- მემორანდუმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ვებ-გვედზე http://www.spectri.org განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგი მოიცავს კოლეჯის ისტორიას, ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას, ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, სახელწოდება, საფეხური/დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, შეფასების წესი. ასევე, განთავსებულია ინფორმაცია დუალური მიდგომით სწავლების შესახებ, ასევე იმ პროგრამების შესახებ რომლებიც მილევად რეჟიმში ხორციელდება და ანონსი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პროფესიული მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ვინაიდან დაწესებულებამ შეცვალა ორი დასამატებელი პროგრამის სახელწოდება (მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება და მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება), დააკორექტირა სწავლის შედეგისა და კვალიფიკაციის მინიჭების პირობა, შესაბამისად აღნიშნული ცვლილებები აისახა კატალოგში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგით http://spectri.org/files/katalogi-2020-spectri.pdf
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების დირექტორს ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ: მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შემკეთებელი, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება და სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- სსიპ კოლეჯი სპექტრის დირექტორის დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის ჩარჩო დოკუმენტით;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ჩარჩო დოკუმენტით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად. დუალურ პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებით 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის(ჩარიცხვის) დებულების მუხლი მე-3 არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებს, მუხლი მე-5 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს, მუხლი 7 სტუდენტის შიდა და გარე მობილობას, მუხლი 8 არეგულირებს მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

სსიპ კოლეჯი სპექტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით დარეგულირებულია საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრა(იხ.დანართი 4), რომლის ჩანაწერების შესაბამისად მსურველმა პირმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს:

ა)პირადი(არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო ან/და საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ან განათლების იმ დოკუმენტის დამადასტურებელი ასლი, რომლის მიღება შეუძლებელი იქნებოდა საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

ე) ფოტო სურათი 3*4 ცალი;

ექსპერტების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ქეისში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები.

არასრულწლოვნის შემთხვევაში (იხ. დანართი 3) განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე (დანართი 2), რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი.;

დაწესებულების მიერ დარღვეულია მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით:

- არასრულწლოვან სტუდენტს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლება არ აქვს, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა.
- სტუდენტის პირად საქმეში უნდა იდოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის პირადობა და სტუდენტის დაბადების მოწმობა;
- კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

განხილული ორი ქეისიდან ორივე არასრულყოფილია, პირად საქმეში არ დევს არც კანონიერი წარმომადგენლის მინდობილობა და არც პირადობის მოწმობის ასლი, ასევე არც ხელმომწერი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, შესაბამისად ხელმომწერ პირთა კანონიერი წარმომადგენლობა არ დასტურდება; ზემოაღნიშნული რეგულაციები დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესში.

რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან;

ექსპერტების მიერ ასევე გადამოწმდა რეესტრის მონაცემები, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია დადგენილ ვადებში ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯი ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურით;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 17 ოქტომბრის N 524 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებით 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის(ჩარიცხვის) დებულებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,სპექტრის" პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურის მე-9 მუხლის(მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების ან ავტორიზაციის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები) შესაბამისად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს კვალიფიკაცია იმ პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც სწავლა დაიწყეს გაუქმების თარიღამდე; პროგრამაზე ავტორიზაციის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი ვადების დაცვით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე შიდა მობილობით ან გარე მობილობით იმ ალტერნატიულ დაწესებულებებში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთტანამშრომლობის შესახებ.

კოლეჯს აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გაფორმებული აქვს მობილობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „მოდუსთან".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი ,,სპექტრის" პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურით;
- სსიპ კოლეჯ მოდულთან გაფორმებული მობილობის მემორანდუმებით(გაფორმების თარიღი 2019 წლის 4 აპრილი);
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დირექტორის 2015 წ. 4 სექტემბრის N88 ბრძანებით დამტკიცებულია სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM, რომელიც ითვალისწინებს:

- ადმინისტრაციის წევრის შეფასებას ადმინისტრაციის მიერ;
- ადმინისტრაციის წევრის შეფასებას პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ; ადმინისტრაციის წევრის შეფასებას პროფესიული სტუდენტის მიერ;
- მასწავლებლის შეფასებას ადმინისტრაციის მიერ;
- მასწავლებლის შეფასებას სტუდენტის მიერ;
- ადმინისტრაციის შეფასების მოდელს;
- მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მოდელს.

ვიზიტის პერიოდში წარმოადგინილი იქნა სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM შესაბამისად განხოციელებული მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ, შევსებული კითხვარები და ანგარიში, ასევე სასწავლო პროცესის მონიტორინგის შეფასების შევსებული ფორმა N5, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას, აუდიტორიის მოწესრიგებულობისა და სისუფთავის შემოწმებას და სასწავლო გარემოს ორგანიზების უზრუნველყოფის შეფასებას, რაც შეფასებულია ქულებით და საჭიროების შემთხვევაში შენიშვნის სახით ერთვის კომენტარები.

წარმოდგენილი იყო შეტყობინებების სახით პროგრამების ადაპტირების პროცესში მიმოწერები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს შორის შენიშვნა/წინადადებების მოწოდების შესახებ, ასევე შეტყობინებები პროფესიული მასწავლებლებისა ადმინისტრაციის მისამართით და პირიქით, შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა ასევე შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტები;

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იქნა 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესრულების ანგარიში, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რომელიც წლის მანძილზე განხორციელებული სამუშაოების გარდა მოიცავს ასევე პროფესიული მასწავლებლებითვის ჩატარებულ ტრენინგებსაც.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას აღნიშნა რომ უახლოოეს მომავალში იგეგმება ხარისხის მართვის სისტემა IFQM-ით გათვალისწინებული ყველა გამოკითხვის ჩატარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

- დირექტორის ბრძანებით N 38-ა (24 აპრილი 2017 წელი) დამტკიცებული კორექტირებული შინაგანაწესის, კოლეჯის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის ცნობად მიღების და კოლეჯის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით.
- კოლეჯის ხარისხის მენეჯერის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშით;
- 2015 წლის 04 სექტემბრის N88 დირექტორის ბრძანებით სსიპ კოლეჯი სპექტრში სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM-ის სრულყოფის მოდელზე დაყრდნობით შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;
- კითხვარებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. N10; კოლეჯის განკარგულებაშია 11 918 კვ.მ-ის 13 შენობა-ნაგებობა, რომელიც გადაცემულია სახელმწიფოსგან დაწესებულების არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 3 ნაგებობაში: N1. 6379.25 კვ.მ; N3. 2920.81; N5 306.05 კვ.მ. კოლეჯის ფართი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის საჭირო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, სახელოსნოებს, ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეს, ბიბლიოთეკას და სამედიცინო სივრცეს. ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	კოლეჯის მისამართია: ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10	11 918 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით;
- ბუღალტრული მონაცემებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს, ძრავის შეკეთების და სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამების A გარემო განთავსებულია N108 და N 114 აუდიტორიებში(თითოეული 15 ადგილი), სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A გარემო განთავსებულია N 113 აუდიტორიაში(15 ადგილი), აღნიშნული პროგრამების B გარემო განთავსებულია მეოთხე სართულზე, ხოლო რაც შეეხება C გარემოებს განთავსებულია მეორე კორპუსის პირველ სართულზე და ასევე ძრავის შეკეთების და სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამების სპეციფიკური C გარემო განთავსებულია ცალკე მდგომ შენობაში.

კოლეჯის მხრიდან მოთხოვნილი იყო სტუდენტთა რაოდენობები პროგრამების მიხედვით შემდეგი სახით:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება -60 ადგილი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება - 60 ადგილი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია 15 ადგილი;

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა დაწესებულების კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, სასწავლო გარემოს მოცულობა და რაოდენობა, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ცვლიანობის რეჟიმის გათვალისწინებით, ამ პროგრამებზე დაწესებულებას ჰყავს მხოლოდ 2 დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი და ასევე საერთო აქვს სასწავლო გარემოები A, B და C, დაწესებულების წარმომადგენლებთან კონსულტაციით ექსპერტთა რეკომენდაციაა დაკორექტირდეს დაწესებულების მოთხოვნა ძრავის შეკეთების და სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამების კვოტის მოთხოვნის ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება -30 ადგილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება - 30 ადგილი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- დირექტორის ბრძანებით N 145 (15 მარტი,2018 წელი) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინვენტარიზაციის შედეგებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად, აუდიტორიები ნათდება ბუნებრივად, ფუნქციონირებს გათბობის და გაგრილების საშუალებები, სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, გამიჯნულია, მოპირკეთებულია და აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალურების გადახდის ქვითრებით;
- ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარიო წიგნი, რომელიც დანომრილი და ზონარგაყრილია. ბიბლიოთეკის ოთახი აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია 2ც პრინტერი , პროფესიული სტუდენტებისთვის ოთხი მაგიდა, ოთხი სკამი და ოთხი კომპიუტერი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის - 3ც მაგიდა, 3ც სკამი და 3ც კომპიუტერი. ბიბლიოთეკარისთვის 1ც მაგიდა, 1ც სკამი და 1ც კომპიუტერი.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ - მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულებში და საერთო პროფესიული მოდულის: ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია“, ასევე **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“,** ,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულებში , ,,საერთო პროფესიული მოდულის: „ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია“ და ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ - მოდულებში არსებული ლიტერატურული რესურსი ვერ უზრუნველყოფდა აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია სასწავლო რესურსის დამატებასთან დაკავშირებით,რაც გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დაცვით განხორციელდა შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N110 ბრძანებით;

კოლეჯის ვებ გვერდზე **http://www.spectri.org/index.php/alert/biblioteka** განთავსებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, წიგნების ჩამონათვალი, ელექტრონული კატალოგი (OPAC) და მხატვრული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ფორმულარები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 111-ა (6 აგვისტო 2014 წელი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ ბიბლიოთეკის მოხმარების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დირექტორის ბრძანებით N 29-ა (2017წ 17 მარტი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „სპექტრში“ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით.
- დირექტორის ბრძანებით N 29-ბ (2017წ 17 მარტი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ ბიბლიოთეკის დებულებით.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. დღეისათვის კოლეჯის მფლობელობაშია 243 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი, 26 პრინტერი, 17 პროექტორი; საერთო რაოდენობიდან - 27 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი და 11 პრინტერი გამოიყენება ადმინსტრაციისათვის, პედაგოგებისათვის და დაწესებულების მართვისათვის, ხოლო 216 კომპიუტერი, 15 პრინტერი და 17 პროექტორი გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის. კოლეჯი უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. დაწესებულებას შპს ,,მაგთიკომთან“ 2019 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება № 498 ინტერნეტით მომსახურების გაწევის შესახებ, ასევე 2019 წ. 3 აპრილის N126 და 2019 წლის 27 დეკემბრის N499 გაფორმებული ხელშეკრულებებით, შპს “პროსერვისი” დაწესებულებას უწევს დომენის და ჰოსტინგის მომსახურეობას. კოლეჯს აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: ვებ გვერდი - **www.spectri.org** და ელექტრონული ფოსტა - **spectri.org@gmail.com;** ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი.კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულადაც - **eflow**-ს გამოყენებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტის ხელშეკრულებით N498; 26/12/2019წ.
- დომენის ხელშეკრულებით N126; 03.04.19წ;
- ჰოსტინგის ხელშეკრულებით N499, 20.12.2019 წ;
- საქმისწარმოების სისტემით eflow;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზიალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა რეგულირდება დირექტორის 2015 წ. 4 სექტემბრის N90-ა ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის საქმისწარმოების ინსტრუქციით“. სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow). კოლეჯში ხდება ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, დიპლომების, სერთიფიკატების, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხვა, ჟურნალები დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 113-ა (9 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „სპექტრი“ არქივის წარმოების დებულებით;
- დირექტორის ბრძანებით N 90-ა (4 სექტემბერი. 2015 წელი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- დირექტორის ბრძანებით N 89-ა (4 სექტემბერი 2015 წელი) სსიპ კოლეჯ „სპექტრი“ eflow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში ჩართვის შესახებ;
- შესაბამისი ჟურნალებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, შენობა სრულად აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს, დაწესებულებას ასევე აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, ყველა აუდიტორიაში დამონტაჟებულია კვამლის აღმომჩენი დეტექტორი.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის მუშაუნარიანობა, უხელმძღვანელოს შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს საგანგებო სიტუაციების დროს; სისტემატიურად შეამოწმოს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობა (ვიზუალური დათვალიერება კომპეტენციის ფარგლებში), ცეცხლმაქრი საშუალებების ვარგისიანობა; საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შეტყობინება საგანგებო სიტუაციების სამსახურში; საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

კოლეჯის შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საგანგებო შტაბი და გაწერილა შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა და გეგმის შესაბამისად განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად, მოქმედების ვადაა 2020 წ. აპრილი.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესის შესაბამისად ბრძანებით დანიშნულია მედდა, რომელიც ზრუნავს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის, ასევე ახორციელებს მედიკამენტების კონტროლს. დაწესებულების სამედიცინო ოთახში განლაგებულია სამედიცინო კარადები, მოსასვენებელი ტახტი, სხვადასხვა აღჭურვილობა, სველი წერტილი და სხვა. კარადებში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ვადიანი მედიკამენტები.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვის მუდმივად აკონტროლოს შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე განთავსებული სამეთვალყურეო კამერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- დირექტორის ბრძანებით N 116-ა (10 აგვისტო 2018 წელი) დამტკიცებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 191 (18 აგვისტო 2015 წ) დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის წესი. მოწყობილია უნივერსალური დიზაინის მქონე ადაპტირებული გარემო იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას. დამონტაჟებულია პანდუსები და ადაპტირებულია სველი წერტილები, მათ შორის ცალკე ქალბატონებისთვის და ცალკე მამაკაცებისთვის შენობების ყველა სართულზე სველი წერტილი. კოლეჯში ფუნქციონირებს ლიფტი. უსაფრთხოების მიზნით ლიფტის დამმონტაჟებელი ორგანიზაცია შპს „ჯელიფტი“ ვალდებულებას იღებს (ხელშ.N25; 23.01,19წ) ყოველთვიურად შეამოწმოს ლიფტის ძრავი, სადგამი, მუხრუჭი, სიჩქარის შემზღუდველი, ავარიული გათიშველები, კაბინის და საპირწონის მცოცავები, ბაგირები, კარის მექანიზმები, შახტა, აწარმოოს შეზეთვა და სხვა წვრილმანი.

სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ე.წ. C გარემოს მეორე ნაწილი განთავსებული იყო N5 კორპუსის მესამე სართულზე, აღნიშნული შენობის მხოლოდ პირველი სართული არის სრულად ადაპტირებული, აღნიშნული შენობის მეორე, მესამე სართულებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ექსპერტების მხრიდან მიეცა დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროგრამის სასწავლო გარემო C მოეწყოთ შენობის პირველ სართულზე, რაც ვიზიტის პერიოდში(მეორე დღეს) შესრულებულ იქნა კოლეჯის მხრიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი http://spectri.org/ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, მისია, სვოტ ანალიზი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებლები, კატალოგი, შინაგანაწესი,განვითარების სტრატეგია(ერთწლიანი და 6 წლიანი სამოქმედო გეგმები, 2017-18 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში),ძირითადი მიღწევები, ტენდერები, პროექტები, თანამშრომლობა,სასწავლო პროცესის ორგანიზება (ცხრილები,წარმატებული სტუდენტები,უსაფრთხოება), ბიბლიოთეკა, ფოტოგალერეა და კონტაქტი.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, ბოლო სიახლე განთავსებულია 2020 წლის 4 მარტი.

დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით: http://spectri.org/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2019-2024 წწ) გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ. N27-ა; 27.03.2019წ). სტრატეგიული გეგმა შექმნილია წინა წლების სამუშაო გაცდილების SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმის თანახმად სსიპ-კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიის საფუძველზე სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პარტნიორების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად გამოკითხული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასეევე 2018-2019 წ.წ. სამოქმედო გეგმის ანგარიში განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

სტრატეგიულ გეგმაში (2019-2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზანი, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია და განხორციელების ვადები, სასურველია სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებას და კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდას.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: გასატარებელი ღონისძიებების, ანგარიშზე პასუხიმგებელი პირების და შესრულების სავარაუდო პერიოდის შესახებ. გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული განსახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

2018 წლის სამოქმედო გეგმის წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია უკვე შესრულებული ამოცანების დრო, შესაბამისი ბრძანებები და შემსრულებელი პირები. გაანალიზებულია ასევე ის ამოცანები, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა და დასახულია მათი შესრულების ახალი გზებიც.

რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს.

რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით (N 115-ა 10 აგვისტო 2018 წელი) დამტკიცებული ხედვის, ღირებულების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების,განხილვის,დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და ანგარიშგების წესით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების 6(2019-2024) წლიანი გეგმით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ სამოქმედო - ერთწლიანი გეგმით
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

დაწესებულებას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საშტატო განრიგი, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან და აკმაყოფილებს თანამდებობრივ უფლებამოსილებებს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დაწესებულების პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის თანაფარდობა შემდეგ სურათს იძლევა :

- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 30/14;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 30/14;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 16/15.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, იციან მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები, მათი ნაწილი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების პროცესში. გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი მოდული სწავლების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/პირადი საქმეებით;
- დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პროცედურის შესაბამისად პერსონალის შერჩევა შესაძლებელია, როგორც კონკურსის ასევე დირექტორის გადაწყვეტილებითაც. წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამის პოზიციაზე აყვინილი არიან დაწესებულების მიერ გაწერილი პროცედურის დაცვით, პირადი განცხადების საფუძველზე დირექტორის გადაწყვეტილებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

რეკომენდებულია დაწესებულებას გააჩნდეს პესონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;
- დირექტორის ბრძანებით პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესით;
- პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ვაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair 0716	58	73	ქართული	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.	0	30 ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.
2	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair 0716	57	72	ქართული	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.	0	30 ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.
3	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Plumbing 0732	79	94	ქართული	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.	0	15 ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)

PDF Eraser Free

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე 1;
დანართი 3. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე 2;
დანართი 4. დირექტორის ბრძ.N534; 21.10.19; „სსიპ-კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“;

31.03.2020 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი: თბილისი, 5-6 მარტი, 2020 წ)